# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა. — პარასკევი, 17 ნოემბერი 1900 წ. № 1301

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წ.-გ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**



## 1901 წლისათვის
## მიიღება ხელის მოწერა
## „მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

ყოველ თვიური ჟურნალი

### „მოამბე“

(წელიწადი მერვე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | საზღვარ გარეთ: |
|---|---|
| 1 წლით . . 10 მ. | 1 წლით . . 13 მ. |
| 6 თვით . . 6 „ | 6 თვით . . 7 „ |
| 3 „ . . 3 „ | 3 „ . . 5 „ |

წლიური ფასის განაწილება:

პირველად—5 მანეთი,
1-ლ აპრილამდე—3 მანეთი და
1-ლ სექტემბრამდე—2 მანეთი.

ყოველ დღიური გაზეთი

### „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეექვსე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | საზღვარ გარეთ: |
|---|---|
| 1 წლით . . 6 მ. | 1 წლით . . 9 მ. |
| 6 თვით . . 4 „ | 6 თვით . . 7 „ |
| 1 „ . . 75 კ. | 1 „ . . 90 კ. |

წლიური ფასის განაწილება:

პირველად—3 მანეთი,
პირველ აპრილამდე—3 მანეთი.
თითო ნომერი—3 კაპ.

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მ., რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოვა 1901 წ. პირველ დეკემბრიდან გაფართოვებულის პროგრამით და გადიდებულის ფორმატით.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4—5 კ.; თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.
ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

დაიბეჭდა და იყიდება დ. კლდიაშვილის მოთხრობა

## ქამუშაძის გაჭირვება

ტფილისში: წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში. ქუთაისში: ვ. ბეჟანიშვილის და ბათუმში—სპ. ჭელიძის მაღაზიებში. (5—3)

ტფილისის კერძო
## სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხაილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და ყამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.

ა. ნ. მაქილოვი—თვალის 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

ვ. ლ. მარკოვიჩი—სდოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ს. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: გუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი
(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.


## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ნოემბერი

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება ცნობებს შეთქმულების შესახებ, რომლითაც განზრახული იყო მისი მოკვლა. დატუსაღებულია ხუთი იტალიელი, 4 ბერძენი და 1 ფრანგი. მათ განზრახვა ჰქონდათ აეფეთქებინათ ნაღმით 3 ნოემბერს ეკკლესია, სადაც ამ დროს რობერტსი უნდა მისულიყო.

„მორნინგ პოსტ“-ს ატყობინებენ შანხაიდან, რომ ლიუ-ხან-დინი, რომელიც სასახლეში იმყოფება, დაინიშნა დიდ მდივნად; წინად ის გუბერნატორად იყო სიჩუანში, შემდეგ შენსში; ის ცნობილია, როგორც განათლებული, ლიბერალი და სამართლიანი მოხელე.

ტუნ-ფუ სიანმა ბრძანება მიიღო მოიაროს შენსი, კანსუ და მონგოლიის ნაწილი ჯარის-კაცების შესაგროვებლად. ამ ბრძანებას საგნად აქვს ტიანფუდან მოიშოროს ტუნფუსიანი, მაგრამ საეჭვოა, რომ იგი დასთანხმდეს.

გაზეთებს აუწყებენ პეკინიდან, რომ ფრანგებმა დაიჭირეს ტიანძინში სამჯერ უფრო მეტი ტერრიტორია, ვიდრე კონცესიით ჰქონდათ წინეთ. ისინი აცხადებდნენ, რომ სამუდამოდ იქვემდებარებენ ამ ტერრიტორიას.

გაზ. „დეილი მეილ“-ის კორესპონდენტთან ლაპარაკის დროს კრიუგერმა სთქვა შემდეგი: ის გარემოება, რომ ბურების ორივე რესპუბლიკები გამორიცხულ იქმნა გააგის სამშვიდობო კონფერენციიდან, არ ანთავისუფლებს ინგლისს მოვალეობიდან—მიჰმართოს მედიატორეთა სასამართლოს; თუ იგი ამას არ იზამს, მას მოუხდება ბრძოლა ყველა სახელმწიფოებთან და დამარცხებულიც იქმნებაო.

გაზეთ „დეილი ნიუს“-ს ატყობინებენ შანხაიდან, რომ 30 ფრანგი ჯარის-კაცი შურის საძიებლად თავს დასხმიან თურმე რამდენიმე ინგლისელს და მოქალაქეთაც; რამდენიმე კაცი დაუჭრიათ. ზოგი მათგანი დაატუსაღეს; სამხედრო სასამართლომ გამოძიება დანიშნა.

„ტაიმს“-ს შანხაიდან ატყობინებენ, რომ საფრანგეთისა და ინგლისის ჯარებს ებრძანა არ დასტოვონ თავიანთი ბანაკები, სანამ შემუშავებული არ იქმნება „modus vivendi“-ს პირობებიო.

ჩინანპოში (კორეია) მოელიან ახალს უწესოებას; იქაურმა იაპონელებმა მთავრობას დახმარება სთხოვეს.

**ბერლინი.** გაზეთ „ნორდ-დაიჩე ალგემეინე ცაიტუნგ“-ს გაუგონია, რომ ელჩი პარიზში თ. მიუნსტერი სამსახურიდან გამოსულა მოხუცების გამო.

**პარიზი.** ამბობენ, რომ დელკასესთან საუბრის დროს კრიუგერს უკითხავს, როგორ მოიქცევა საფრანგეთი, თუ ის (კრიუგერი) ევროპას დახმარებას მოსთხოვს. დელკასემ აგრძნობინა, რომ საფრანგეთი თავისნობას ვერ იკისრებს, მაგრამ მიემხრობა სხვების წინადადებას, თუ იგი მისაღები იქმნება. ჰფიქრობენ, კრიუგერი პირდაპირ გააგაში წავა და იქიდან დიპლომატიურ მოქმედებას დაიწყებს. არავინ იცის—აპირობს იგი თუ არა მოსთხოვოს ჰოლანდიას მედიატორეთა სასამართლოს მოწვევა და ინგლისთან მოლაპარაკების გამართვა.

**კაპშტადტი.** კაპის ახალშენის ჰოლანდიელთა და ინგლისელთა შორის განხეთქილება თან-და-თან იზრდება.

ინგლისელთა საწინააღმდეგოდ ქადაგება ყველგან აღელვებს ხალხს. ჰოლანდიური და ბურების მოტრფიალე გაზეთები მხნედ ებრძვიან ინგლისის პოლიტიკას. ისინი სარგებლობენო, როგორც ამბობს „რეიტერის სააგენტო“, ტყუილი დაბეზღებით და აქეზებენ ჰოლანდიელთა ეროვნულ გრძნობას, რომელიც არასოდეს არ ყოფილა ინგლისელთა წინააღმდეგი. გარემოება უფრო მწვავდება იმით, რომ ხსენებულ ოლქებში დასახლებულან ტრანსვაალიდან წამოსული ბურები, რომელნიც აძლიერებენ ინგლისელებისადმი უკმაყოფილებას; კაპის ახალშენის ჰოლანდიელთაო ოლქებში კი პირდაპირ ამბოხება ჰსუფევს. აფრიკანდერთა კონგრესისათვის, რომელიც 23 ნოემბერს გაიხსნება ვორჩესტერ-

-ში, ძალიან ემზადებიან. ჰოლანდიელთა მეთაურები ჰქადაგობენ ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო იმპერატორის განკურნების შესავედრებლად გადაუხდიათ პარაკლისები ორენბურგში, ვერნში, მიტავაში და ნოვოჩერკასკში.

**სად. ნოვოალექსანდრია** გუშინ საქონლის მატარებელი № 207 ლიანდაგიდან გადავარდა ისართან. მოკლულია უფროსი კონდუქტორი ეფიმოვი, დაიმსხვრა 6 ვაგონი.

**პეკინი.** გერმანიის, ინგლისის, ავსტრიის, ბელგიის და იტალიის წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, რომ მათ ნება მოუვიდათ თავიანთ მთავრობათაგან ხელი მოაწერონ დიპლომატთაგან შემუშავებულ მშვიდობიანობის პირობების პროექტს; დანარჩენ სახელმწიფოებთა წარმომადგენელთ ჯერ არ მოჰსვლიათ ინსტრუქციები.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ «ინდეპანდანს ბელჟ»-ის სიტყვით, ლონდონში ახალი ფაქტები აღმოუჩენიათ დრეიფუსის საქმის შესახებ. საფრანგეთის იუსტიციის მინისტრის მონისის ბრძანებით საფრანგეთის მთავარმა კონსულმა ლონდონში დაიბარა იქ მყოფი ესტერჰაზი და გამოჰკითხა მას დრეიფუსის საქმის შესახებ. გამოკითხვა სამდღეს გაგრძელდა და ესტერჰაზიმ დოკუმენტებით ხელში დაამტკიცა: 1) რომ ეგრედ-წოდებული «document libérateur» ჩააბარეს მას გენერლებ ბუადეფრასა, ბიიოსა, გონზისა და სოსიეს ბრძანებით. ამ დოკუმენტის შემწეობით ჰფიქრობდნენ გავლენა ექონიათ რესპუბლიკის პრეზიდენტსა და პირველ მინისტრზედ.

2) ბორდერო, გერმანიის საელჩოდან მისი მოპარვის შემდეგ, შეკეთებული იყო, და ბუადეფრმა და გონზმა იცოდნენ ეს ამბავი.

3) ექსპერტების აზრი ესტერჰაზის ხელის შესახებ შესწორებულ იქმნა, როდესაც ირჩეოდა საქმე ბორდეროს შედგენის თაობაზედ. მთავარმა შტაბმა იცოდა ეს საქმე.

4) მთავარმა შტაბმა იცოდა აგრეთვე იმპერატორის ყალბი წერილების შესახებ.

5) ბევრი შტაბ-ოფიცრები იძლეოდნენ განზრახ ცრუ ჩვენებებს.

6) ესტერჰაზიმ გამოარკვია მიზეზი ჰანრის სიკვდილისა და ნაციონალისტური როლი როშესი.

7) ესტერჰაზიმ აღიარა თავისი თავი ნამდვილ დამნაშავედ იმ ბოროტ-მოქმედებაში, რომლისათვისაც დაისაჯა დრეიფუსი, მაგრამ ამტკიცებს, რომ იგი ვერას გზით ვერ ჩაიდენდა მას, მთავარ-შტაბის ოფიცრებს დახმარება რომ არ გაეწიათ მისთვის.

∝ გერმანიაში, დიუსელდორფში, დაატუსაღეს უფროსი ექიმი გუსარის პოლკისა, დოქტორ შმელი. მას აბრალებენ რომ იგი ჰშველოდა ახალგაზდა კაცებს მდიდარი ოჯახებიდან სამხედრო მოვალეობისაგან განთავისუფლებას. იგი აძლევდა მათ კენჭის ყრის დროს აბებს, რომელნიც გულის სისუსტეს უჩენდნენ მათ.

ამისთანავე ბრალსა სდებდნენ სხვა ექიმებს და ამის გამო არა ერთხელ გამოძიებაც მოუხდენიათ.

დოქტორ შმელის დაპატიმრებამ დიდი აღელვება მოახდინა ქალაქში.

გერმანიის ბურჟუაზიას, რომელსაც თავი მოჰქონდა თავისი მოხელეების შეუსყიდველობით, კიდევ გაუცრუვდა ერთი ოცნებათაგანი.

∝ საფრანგეთის დეპუტატთა პალატას ამორჩეული ჰყავს საკონსტიტუციო კომისია. ამ კომისიას დავალებული აქვს შეიმუშაოს პროექტი იმ სასურველ ცვლილებათა, რომელნიც უნდა მოხდეს საფრანგეთის კონსტიტუციის წესებში. ამ კომისიას გაუჩხრეკია ყველა წარმოდგენილი პროექტები შესახებ საჭირო ცვლილებათა და დაუდგენია შეთანხმება ჩამოაგდოს სენატთან შესახებ შემდეგი სამი მუხლისა:

1) ბიუჯეტის შესახებ საკითხებში უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის პალატას, რომელმაც უნდა გამოთქვას თავისი აზრი სამჯერ კენჭის ყრით. სენატს არ უნდა ჰქონდეს უფლება დაამტკიცოს ის კრედიტები, რომელთაც მთავრობა თხოულობს, მაგრამ უარყოფილნი არიან პალატისაგან.

2) თუ პალატამ ორ ერთმანეთზედ მომდევნო სესსიის დროს თავის აზრი გამოთქვა რაიმე საკანონმდებლო საკითხზედ, სენატს არა აქვს უფლება გააუქმოს ეს გადაწყვეტილება, ასე რომ მას ეძლევა კანონიერი ძალა.

3) რესპუბლიკის პრეზიდენტი 7 წლის სამსახურის შემდეგ, ხელმეორედ ვეღარ ამოირჩევა. პარიზში იმედი არა აქვთ, რომ სენატმა შეიწყნაროს ეს წინადადებანი საკონსტიტუციო კომისიისა.

∝ დეპეშებმა მოკლედ გადმოგვცეს უკვე გერმანიის კანცლერის სიტყვა, რეიხსტაგში წარმოთქმული. როგორც ვიცით, ბიულოვის სიტყვამ გამოიწვია მედგარი წინააღმდეგობა დეპუტატებში. სხვათა-შორის დეპუტატმა ბებელმა ბიულოვის საპასუხოდ სთქვა შემდეგი:

«გრაფმა ბიულოვმა ბრალი ჩინეთში მომხდარი უწესობისა მთლად პრინც ტუანს მოახვია თავზედ. იგი თხოულობს, რომ გერმანიამ უსათუოდ სიკვდილით დასაჯოს ხსენებული პრინცი. ნამდვილად კი, ევროპიელებმა იმდენი ნავნებობა ჩაიდინეს ამ ბოლოს დროს ჩინეთში, რომ დიდი ხანია, რაც წინ-დახედული კაცები წინასწარმეტყველობდნენ ყველა იმ ამბებს, რაც ეხლა მოხდა. ეხლანდელი აღშფოთება თითონ ევროპიელებმა გამოიწვიეს. ცუდ მოქცევას ჩინელებთან, რასაკვირველია, უნდა გამოეწვია მათში სიძულვილისა და სიბრაზის აფეთქება. მაგრამ მესამედი ნაწილი ამ დანაშაულობისა ედებათ მისსიონერებსაც, რომელნიც გრაფმა ბიულოვმა არც კი ახსენა. გერმანიაში რომ ჩინეთის მისსიონერები მოვიდნენ და ისე მოიქცნენ, როგორც ჩვენი მისსიონერები იქცევიან ჩინეთში, ჩვენშიაც ისეთი ამბოხება მოხდება, როგორიც მოხდა ცის-ქვეშეთის იმპერიაში. კერძოდ, ნამეტნავად მავნე როლს თამაშობდა იქ ეპისკოპოსი ანცერი, რომლის თაოსნობითაც ჩვენ კიაო-ჩაუ დავიჭირეთ. გრაფმა ბიულოვმა განაცხადა, რომ ჩვენგან კიაო-ჩაუს დაჭერა არ ჩაითვლება აჯანყების მიზეზადაო. ამის წინააღმდეგ მე მხნედ და გაბედულად ვაცხადებ პროტესტს, რადგანაც თვით ეპისკოპოსმა ანცერმა გამოაცხადა საყოველთაოდ, რომ კიაო-ჩაუს დაჭერამ დიდი ზიანი მოუტანა ჩინელებსა და აუცილებლად არეულობას გამოიწვევსო. გამოსტყუდით და აღიარეთ რაღა, რომ რაც თქვენ ჩინეთში ჩაიდინეთ, ნამდვილად შეესაბამება იმ ზიზღს, რომელსაც თქვენ ჰგრძნობთ ამ ქვეყნისადმი. რა ჰქნა დარაჯთა რაზმმა, პეკინში გაგზავნილმა ელჩების დასაცველად? იგი ხალხსა ჰხოცდა და ჰჟლეტდა იმ დროს, როცა ჩინელებს ჯერ არაფერი არ დაუშავებიათ საელჩოებისათვის. გერმანიის საელჩოს მოხსენებით, გერმანელი ჯარის-კაცები სრულიად უმიზეზოდ ესროდნენ ჩინელებს და ბევრი მათგანი მოჰკლეს და დასჭრეს კიდეც. ჩინელებმა რომ იგივე ბერლინში ჩაიდინონ, ერთ საათში ჩინეთის საელჩო ბერლინში დანგრეული და მოსპობილი და ყველა ჩინელები დახოცილი იქნებიან. წარმოიდგინეთ კარგად, რა გუნებაზე უნდა მოსულიყვნენ ჩინელები. ბარონ კეტლერს თუ არ ებრძანებინა, ჩვენი ჯარები არ დაუწყებდნენ სროლას ჩინელებს, და ამნაირად კეტლერმა თითონ დაიმზადა თავისი თავის დაღუპვა. მიუხედავად ამისა, გერმანიამ ექსპედიცია გაგზავნა «სისხლის ასაღებად» ჩინელებისაგან. სამწუხაროდ, ეს გალაშქრება სისხლის ასაღებად, ჯავრის ამოსაყრელად კი არ არის, იგი უბრალო ჩვეულებრივი გალაშქრებაა ქვეყნის დასაპყრობად, მაგრამ ისეთი უღვთოობით, უდიერობით და გულქვაობით სავსე გალაშქრება, როგორიც ჯერ არ ჩაუდენიათ არც ჰუნებს, არც ატილას, არც ჩინგისყანს. გერმანიის პოლიტიკას შეუძლიან ჩაუნერგოს ჩინელებს მხოლოდ ღრმა სიძულვილი ყველა ქრისტიანებისადმი.

გრაფ ვალდერზეეს მთავარ-სარდლად დანიშვნის გამო ბებელმა სთქვა:

«ის ცნობა, ვითომ რუსეთმა ითხოვა გრაფ ვალდერზეეს მთავარსარდლად დანიშვნაო, სრულიად მართალი არ არის. ზრდილობიანობის გამო რუსეთმა არ შემოთვალა თავისი ნამდვილი გულის პასუხი, რომ ეს დანიშვნა მისთვის უსიამოვნო იყო. მაგრამ ჩინეთთან ომისათვის სრულებითაც არ იყო საჭირო ფელდ-მარშალი: ყოველი გერმანიის ფელდფებელი, რომელსაც კი ხელი წაუკლია, შეიძლებდა ამ ომის წარმოებას. გერმანიის პრესსის ყველა ორგანოები, დასების განურჩევლად, აღშფოთებულნი არიან იმ სიმხეცით, რომელსაც იჩენენ გერმანელი ჯარის-კაცები ჩინეთში. გრაფი ვალდერზეე უბრალო ფელდ-მარშალი — ჯალათი გამოდგა.

ყოველ ხალხს აქვს უფლება არსებობისა. ადამიანობისა და უფლების სახელით ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ წინააღმდეგ სიძულვილისა და სისხლის ღვრის პოლიტიკისა. ამისთანა პოლიტიკას ჩვენ ვერ დავეხმარებით ვერც ერთის კაპეიკით!»

## ახალი ამბავი

✦ მისი უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისათვის დღეობა მიულოციათ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან გუბერნიის წინამძღოლის თანამდ. აღმასრულებელს თავ. დ. ნიჟარაძეს და შორაპნის მაზრის თავად-აზნაურობისაგან მაზრის წინამძღოლს თავ. წერეთელს. პასუხად პირველს მოსვლია: „გულწრფელად ვმადლობ ქუთაისის თავად-აზნაურობას კეთილ-ხსენებისათვის. მიხეილ;“ მეორეს: „ყველას გულითად მადლობას ვუცხადებ სიყვარულით მოლოცვისათვის. მიხეილ.“

✦ 13 ნოემბერს ქუთაისის საოლქო სასამართლოს, „ნოვ. ობოზრენიე“-ს სიტყვით, გამოუცხადებია განაჩენი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის საქმის შესახებ, რომლის ამბავიც თავის დროზე უკვე ვაცნობეთ მკითხველთ. ბანკის გამგე კ. ჩიკვაიძე და ინჟენერი კალატოზიშვილი უჩიოდნენ უფროს ნოტარიუსს—არ დაამტკიცა ნასყიდობის ქაღალდი კალატოზიშვილის მიერ კ. მარჯანოვის სახლის ყიდვის შესახებო. სასამართლოს უყურადღებოდ დაუტოვებია კ. ჩიკვაიძისა და ინჟ. კალატოზიშვილის საჩივარი.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სთხოვენ რუს-

თის სხვა და სხვა ქალაქებიდან გამოგზავნეთ კავკასიის მომავალ გამოფენის დებულება და პროგრამა. როგორც სჩანს, გამოფენის ამბავი შორს და ძალიან გავრცელებულა, რაც ხელს შეუწყობს მის უკეთესად გამართვას.

✦ გამოირკვა სრულიად, რომ ალექსანდრეს ბაღი საკმარისი არ იქნება მომავალ სამეურნეო გამოფენისათვის, ასე რომ გამოფენა საბალოსნო სკოლის მაზულში უნდა გაიმართოს.

✦ ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა სათამაშო დასი დედინცევის მეთაურობით. წარმოდგენები დაიწყება ოთხშაბათს, 22 ნოემბერს, ქართულ სათავად-აზნაურო თეატრში.

✦ სომეხთა პატივცემულ მოძღვარს აღნიანს უკვე დაუწყია ბეჭდვა თავის ვრცელის წიგნისა „მდივანი სომხეთის ისტორიისა" 5 ტომად, სადაც დიდ ძალი წერილები იქნება მოთავსებული საქართველოს შესახებ.

✦ ჩვენ გვიცნობებენ, რომ პარასკევს, 10 ამ თვეს, ორი მოსწავლე ყმაწვილი 13—14 წლისა სახლიდან გამოსულან და უკან აღარ დაბრუნებულან; ყმაწვილები ყოფილან—ივანე საათაშვილი და გრიგოლ ნაზარიანცი. პირველის მშობლები გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: ბავშვი თეთრწითელია, ქერა წამწამები აქვს, მომცრო ცხვირის ცისფერ თვალებიანი; ნაცრის ფერი მაუდის ბლუზა და შავი შარვალი აცვია, შავი ქუდი ჰხურავს; პრტყელ აბზინდიანი ქამარი არტყია წარწერით: Т. Н. У.

✦ „ნოვ. ობოზრ." დეპეშით ატყობინებენ ბაქოდან იქაური საოლქო სასამართლოს წევრის ბაქრაძის გარდაცვალების ამბავს.

✦ კავკასიის სამოქალაქო საექიმო ნაწილის მმართველობას განუზრახავს გააძლიეროს ახლად დაარსებული შტატი ხსენებულ მმართველობისა. დაარსებულ იქნება თანანდებობა საზღვარზე გასაგზავნ სასანიტარო ექიმისა, რომელმაც ყურადღება უნდა აღევნოს სპარსეთისა და ოსმალეთის საზღვრებს სანიტარულის მხრით.

✦ 15 ნოემბერს ტფილისის სასამართლო პალატამ გამოაცხადა საბოლოო განჩინება თავ. ვლ. ბარათაშვილის, თავ. შიხი ტუსიშვილის, აზნ. გ. ოსიტაშვილის და ალ. ტერ-შმოვანოვის საქმის შესახებ, რომელთაც დაბრალდათ დ. გაბაშვილის მოკვლა. ბრალდებულთ უკმაყოფილება გამოუცხადებიათ და განუზრახავთ კასაცია გადაიტანონ სენატში.

✦ 14 ნოემბერს ტფილისში გარდაიცვალა სომხების გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ეპისკოპოსი ხორენ სტეფანე ხორენიანი. განსვენებულმა 1860 წელს დაასრულა უნივერსიტეტი და მას შემდეგ დაუღალავად ემსახურებოდა სიკვდილამდე თავის ერს. ხორენ სტეფანიანი უმთავრესად საპედაგოგიო ასპარეზზე მოღვაწეობდა და ბევრი სალიტერატურო შრომაც დასტოვა. განსვენებულს 25 ათასი მანეთი უანდერძებია საქველმოქმედო საქმეებისათვის იმპირობით კი, რომ ეს ფული ეხლა ბანკში უნდა იქმნას შეტანილი 130 წლით; ამ დროს განმავლობაში ნაანდერძევი თანხა 4 მილიონ მანეთად იქცევა და მაშინ მოხმარდება სომხების სხვა და სხვა საჭიროებას.

✦ გუმბრიდან გვწერენ: ქართველ მუშების და მოხელეების რიცხვი აქეთკენ ერთობ მრავლდება. ყოველ სადგურზე შეხვდებით მათ. გუმბრში მცხოვრებ ქართველთ ლაპარაკი დაუწყიათ გუმბრში ქართულ სამკითხველოს გამართვის შესახებ; ამ საქმის თაოსნობა და მოწყობა რკინის გზის მოსამსახურე ბ-ნ შველიძესთვის მიუნდვიათ.

✦ ტფილისის მაზრის უფროსი ატყობინებს სავეტერინარო განყოფილებას, რომ სოფ. გოლგეთში, ენაგეთის საზოგადოებაში, საქონლის ავადმყოფობა გაჩნდაო. საეტერინარო განყოფილებამ გაჰგზავნა ვეტერინარი დედაბრიშვილი ავადმყოფობის გამოსაკვლევად და მის წინააღმდეგ ზომების მისაღებად.

✦ ტფილისის მაზრის სოფ. მანავში საქონელზე რაღაც ავადმყოფობა გაჩენილა; ზოგიერთის ნიშნებით ჭირი უნდა იყოს; ცნობა გაეგზავნა საგუბერნიო ვეტერინარს.

✦ დღეს, 17 ნოემბერს, ქ. გორში იწყება სხდომები ტფილისის საოლქო სასამართლოს განყოფილებისა სასამართლოს წევრის ჩემესოვის თავმჯდომარეობით. სესსია 2 დეკემბრამდე გაგრძელდება და გაარჩევს 105 სისხლის სამართლის საქმეს.

✦ ამ დღეებში უმართებულესმა სენატმა გაარჩია საქმე ქუთაისის გუბერნიის, ხონის ნაწილის, ბოქაულის თ. ბ. ტატიშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა სიყალბის ჩადენა სამსახურის დროს.

ამ საქმის მდგომარეობა ამ ნაირია: ბოქაულს ტატიშვილს ჰბრალდებოდა, რომ მან თავის მოხსენებაში ქუთაისის მაზრის უფროსის სახელობაზე განზრახ ცრუ ცნობები წარმოადგინა შესახებ გლეხი სევასტი გენძეხაძისა. ეს უკანასკნელი, სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით, 5 თვით ციხეში უნდა ჩამჯდარიყო. ბ-ნმა ტატიშვილმა კი მოახსენა თავის უფროსს, რომ იგი წვრილშვილი და ღარიბი კაცია, რომლის ცხოვრების ერთად-ერთ სახსარსაც შეადგენს მიწის მუშაობა და რომ სრულიად არ დაილუპოს, მას უსათუოდ უნდა დასცალდეს ციხეში დაჭერა სანამ მოსავლის მოკრეფას გაათავებდეს.

ეს ცნობები ცრუთ იცნეს, და, ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის მინდობილობით, მისმა ამხანაგმა ლაზინო-ლოზინსკიმ საკუთარი გამოძიება მოახდინა გენძეხაძის ქონებრივ მდგომარეობის შესახებ და აღმოაჩინა, რომ, გენძეხაძე ღარიბი კი არა, შეძლებული მოვაჭრე კაცი ყოფილა. ცხადია, რომ მოხსენება ტატიშვილისა შედგენილია ცრუდ და რაღაცა ანგარიშით. ბ-ნ ლოზინსკის გამოძიების დასკვნა დამტკიცებული იყო მეორე მოხელის, აქიმოვის გამოკვლევითაც.

ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია ეს საქმე და სცნა, რომ ტატიშვილს ანგარებით კი არა, დაუდევნელობით მოსვლია შეცდომები თავის მოხსენებაში და მიუსაჯა მას უმაღლესი ხარისხის სასჯელი—სამსახურიდან დათხოვნა.

ბ-ნი ტატიშვილი არ დაჰკაბულდა ამ გადაწყვეტილებას და საჩივარი გადაიტანა უმართებულესს სენატში. აქ ბ-მნა ტატიშვილმა ბევრის საბუთებით და მოწმების ჩვენებით სრულიად იმართლა თავი. სენატმა გააუქმა პალატის განაჩენი და სრულიად გაამართლა ბ-ნი ტატიშვილი.

✦ ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი „კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან, შედგენილი არ, ქუთათელაძისაგან, რვეული მეორე". წიგნი შეიცავს 163 გვერდს და ღირს 35 კაპ.

---

## საღამოს დეპეშები

**16 ნოემბერი**

**ლივადია**, 16 ნოემბერს, დილის 11 საათზე. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე კარგად გაატარა; დღისით ერთი საათის ოდენი ეძინა. საღამოს ცხრა საათზე სიცხე—36.4, მაჯა—68; ღამე მის უდიდებულესობას ძალიან კარგად ეძინა, თავს უფრო მხნედ ჰგრძნობს, ღონე თან და თან ემატება. დილის ცხრა საათზე სიცხე—36,2, მაჯა—60. ლეიბ-ხირურგი გირში, საპატიო ლეიბ-მედიკი პოპოვი, მკურნალი ტიხონოვი.

**პეტერბურგი.** მარხილებით დადიან თოვლზედ.

**პარიზი.** დედოფალის მარიამ თეოდორეს ასულის დაბადების დღეს საელჩოს ეკკლესიაში დიდებულად გადაიხადეს წირვა. წირვის დროს ყველანი ღმერთს ევედრებოდნენ ხელმწიფე იმპერატორის მალე განკურნებას.

**ლონდონი.** რობერტსის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულების გამო, გაზეთები თხოულობენ სასტიკი ზომების მიღებას წინააღმდეგ ყველა უცხოელებისა, რომელთა ყოფნა ტრანსვალში არაა სასურველი და თხოულობენ ეგრეთვე ყველა იმ უცხოელების განდევნას, რომლებზედაც კი მიიტანენ რაიმე ეჭვს.

**შანჰაი.** კონსულების სურვილით, ცზინ-ციანის გუბერნატორს მიენდო მოლაპარაკება გამართოს ინგლისისა და ამერიკის კონსულებთან იმ ხოცვა-ჟლეტაში დაზარალებულთა დაკმაყოფილების შესახეს, რომელიც მოხდა გავლენიანის პირების წაქეზებით. თვით გუბერნატორიც ურევია ამ საქმეში მით, რომ იგი ბრძანებებს სცემდა უცხოელების წინააღმდეგ.

**ბელგრადი.** წინააღმდეგ მინისტრობდ ნამყოფის გენჩიჩისა დაიწყო გამოძიება. სისხლის სამართლის პალატა დაადგენს განაჩენს შესახებ იმისა, უნდა იყოს მიცემული სამართალში გენჩიჩი, თუ არა.

**სოფია.** სლივნიცასთან მომხდარ ბრძოლის დღესასწაულის დღეს, ათ-პოლკოვნიკს გენერლის ხარისხები ებოძათ, მათ შორის სამხედრო მინისტრს პაპრიკოვსაც.

**ვაშინგტონი.** უმაღლესს წრეებში ლაპარაკობენ, რომ პეკინში ამერიკის ელჩად ნამყოფი დენბი, პირადი მეგობარი ქერივე დედოფლისა, დაინიშნება კონჯერის მოადგილედაო.

**კონსტანტინეპოლი.** ამერიკის ჯავშნიანი გემი „კენტუკი" სმირნაში მივიდა. ამერიკის რწმუნებული მტკიცედ თხოულობს ეკზეკვატურას ხარპუტის კონსულისთვის და აცხადებს, რომ ამაზე უარს იგი ჩასთვლის ხელ-შეკრულობით დადგენილ უფლებათა დარღვევად. იგი თხოულობს ავრეთვე, რომ საზღვაური მიეცეთ იმ ამერიკელებს, რომელნიც დაზარალდნენ სომხეთში მომხდარ არეულობის დროს.

**ვაშინგტონი.** ყველა მუხლები გეის პოლიტიკისა დღეს სრულიად

მოწონებულ იქმნენ კაბინეტისაგან, მეტადრე უკანასკნელნი ინსტრუქციები კონჯერისადმი. თუმცა კონჯერს აქვს ყოველნაირ რწმუნებანი და მას თავისი მოქმედებით ჩინეთში შეუძლიან ჩააბას შეერთებული შტატები რაიმე მოულოდნელ შეთანხმებაში, მით მაინც ოფიციალურ წრეებში იციან, რომ კონჯერს ჯერ ხელი არ მოუწერია არც ერთ ოქმზე და არავითარ ჯერჯერობით ხელშეკრულობაზე, და დამოუკიდებლად კონჯერის შეხედულებისა იმ შეთანხმებაზე, რომელიც დაადგინეს უცხოეთის ელჩებმა, შეერთებული შტატების მთავრობა არაფრით არის ხელ-შეკრული; ამიტომ მას შეუძლიან ცადოს და მოახდინოს ისეთი ცვლილებანი და ისეთი შეთანხმება, როგორებსაც ჩასთვლის აუცილებლად. უაიტს ჯერ არ შეუტყობინებია, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის მთავრობაზედ კონჯერის ინსტრუქციის ასლმა. იგი აცნობეს გერმანიას ფორმალური დოკუმენტის სახით, ამისათვის იგი არცა თხოულობს უსათუოდ ფორმალურ პასუხს; უეჭველია ერთად ერთი შედეგი მისი იქნება ასეთივე აზრების გაზიარება უაიტსა და რიხტგოფენს შუა, ესე იგი სიტყვიერი. მოელიან, რომ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებას შეაფერხებს გეისაგან კონჯერთან გაგზავნილი ინსტრუქციები, რომელთაც ჩინეთის საქმეებში შეჰქმნეს მთელი ხანა, რომლის დასრულებას მოუნდება რამდენიმე დღე. კერძო ცნობები მოვიდა, რომ კონჯერისაგან მიღებულ ინსტრუქციების აზრები მოწონებულ იქმნება ყველასაგანო.

**ბუხარესტი.** პარლამენტის მორიგი სესსია გახსნა მეფემ.

**ტიანძინი.** აქაურმა დროებითმა მთავრობამ, რომელსაც შეადგენენ გერმანიისა, რუსეთისა, ინგლისისა, საფრანგეთისა, ამერიკისა და იაპონიის წარმომადგენელნი, ერთხმად დაადგინა დანგრეულ იქმნეს ტიანძინის გალავანი და ამოქოლონ სიმაგრეების თხრილები.

**ედინბურგი.** დევეტს ხელში უპირავს დევეტსდორპი და ზოგნი ამით ამტკიცებენ, ვითომც დევეტს განზრახვა აქვს კაპის ახალშენებში გზა გაიკვლიოს, რომ იქ შეავსოს თავისი ჯარის რაზმები. ინგლისელებს ორანჟეს მდინარეზე ყველა ფონები შეკრული აქვთ, მაგრამ თუ ცხენოსან ჯარს არ მოუმატეს, დევეტის დაჭერას ვერას გზით ვერ მოახერხებენ.

**ბერლინი.** ვალდერზეე 12 ნოემბერს იტყობინება, რომ მიულენფენსის რაზმი ამ დღეს პეკინში უნდა მოსულიყო. ვალდერზეე იუწყება პეკინიდან 14 ნოემბრის რიცხვით, რომ ყველა ერებისაგან ჩადენილი თავ-დასხმა და დარბევა, როგორც სჩანს, სასურველ ნაყოფს მოიტანს ქვეყნის დამშვიდების საქმეში. განმარტოვებული სოფლები ხშირადა სთხოვენ მოკავშირეებს შველას „დიდი მუშტისა ან" დასაფარავად.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ დეპეშით სთხოვა კონჯერს შეატყობინოს მან სამინისტროს პეკინში მყოფ ელჩებს შორის მომხდარ შეთანხმების ტექსტი. კონჯერი ხელს არ მოაწერს შეთანხმებას, მინამ მაკ-კინლეი არ გაიცნობს შეთანხმების შინაარსს და არ შეიტანს მასში ცვლილებებს, რომელნიც შეათანხმებენ მას შეერთებულ შტატების პოლიტიკასთან. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შეთანხმების ტექსტში არავითარი არსებითი ცვლილება არ მოხდება. იმ გამოძიებიდან, რომელიც მოახდინეს თვით სახელმწიფოებმა, გამოირკვა, რომ ელჩებს პეკინში ცუდად გაუგიათ სახელმწიფოთა აზრები საზავო მოლაპარაკების საფუძვლის შესახებ. ამ შეხედულობას, უეჭველია, მიიღებს დაინტერესებულ სახელმწიფოთა უმეტესობა, რაიცა ითვლება იმის გარანტიად, რომ შეთანხმება შეცვლილი ანუ სრულიად მიტოვებული იქმნება. სახელმწიფოთა შორის აზრთა გაზიარების დროს უმეტესად იმაზედ იყო მიქცეული ყურადღება—კეთილ-გონიერული იქმნება, რომ ჩინეთს ულტიმატუმით მიჰმართონ და ამასთანავე იხმარონ სიტყვა „ულტიმატუმი", თუ არა. ელჩები, როგორც ეტყობა, მომხრენი არიან ულტიმატუმის გაგზავნისა, მაგრამ სხვა-და-სხვა მთავრობებმა ერთი კვირის წინად სხვა-და-სხვანაირი აზრები გამოსთქვეს. იაპონიამ პირველმა ურჩია ზომიერად მოვიქცეთო და ეს რჩევა კეთილის თვალით იყო განხილული შეერთებულის შტატებისა, საფრანგეთისა და რუსეთისაგან და, უეჭველია, ინგლისისაგანაც. როგორ მოიქცევიან საბოლოოდ გერმანია, ავსტრია და იტალია, ჯერ-ჯერობით ძნელი გამოსარკვევია. ვაშინგტონში, მაინც, დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ გარემოებას, რომ ერთი სახელმწიფო ინგლის-გერმანიის კავშირიდან უკვე ზომიერების მომხრე გახდა. გარეშე საქმეთა სამინისტროში ამბობენ, რომ ბრიტანიის და ამერიკის ზოგიერთი კონსულები თავიანთი თანამემამულეების ქონებრივი, თუ სხვა ფრიად ზარალის საზღაურს სთხოვენ პეკინში კი არა, პირდაპირ პროვინციების ვიცე-კოროლებს და უმეტეს ნაწილად იმარჯვებენ კიდეც.

რედაქტორი: **ალ. ჭყონია.** გამომცემელი: **ალ. ჯაბადარი.**


## Открыта подписка на ежемѣсячный научно-литературный журналъ

### НА 1901 ГОДЪ.

# „КАВКАЗСКІЙ ВѢСТНИКЪ".

*(годъ второй)*

**Издаваемый въ г. Тифлисѣ В. Д. КОРГАНОВЫМЪ, подъ редакторствомъ К. Н. БѢГИЧЕВА, по слѣдующей программѣ:**

1) Правительственныя распоряженія.
2) Кавказъ и сосѣднія съ нимъ страни въ историческомъ отношеніяхъ. Мемуары, записки, воспоминанія, біографіи и некрологи выдающихся дѣятелей.
3) Статьи по различнымъ научнымъ отраслямъ, а также практическаго характера. Протоколы ученыхъ обществъ и общественныхъ учрежденій.
4) Беллетристика: оригинальные и переводные романы, повести, разсказы, драматическія произведенія, поэми и стихотворенія.
5) Обзоръ событій мѣстной и европейской жизни. Корреспонденціи изъ Россіи и за границы, преимущественно имѣщія отношеніе къ Кавказу и сосѣднимъ ему странамъ.
6) Литературная критики и библіографія. Статьи по искуству.
7) Смѣсь: историческіе эскизы, анекдоты, мелкія беллетристическія произведенія и т. п.
8) Справочный отдѣлъ.
9) Объявленія.

По мѣрѣ надобности статьи въ журналѣ иллюстрируются виньетками, рисунками и портретами, а также къ нимъ прикладываются карты, планы и чертежи.

Для участія въ журналѣ приглашены лучшія налчныя и литературныя силы въ Россіи. Для обзора заграничныхъ событій, касающихся Кавказ и сосѣднихъ снимъ странъ, имѣются корреспонденты въ главныхъ городахъ Европы.

Редакція журнала помѣщается на авчальской ул. д. Корганова, № 28.

## Условія подписки:

| | Городскіе. | Иногородніе. | За-границу. |
|---|---|---|---|
| За годъ . . . . . . . . . | 9 р. | 10 р. | 12 р. |
| —½ года. . . . . . . . . | 5 р. | 6 р. | 7 р. |
| —3 мѣсяца . . . . . . . . | 3 р. | 3 р. | 4 р. |

За перемену адреса взимается 50 к.

За объявленія, помѣщаемыя книжкахъ журнала взимается: за цѣлую страницу 20 р., за ½ стр. 12 р., за ¼ стр. 7 р.

Подписка на журналъ и объявленія принимаются въ Тифлисѣ, въ конторѣ журнала „Кавказскій Вѣстникъ", на Головинскомъ пр. д. № 10, и во всѣхъ книжныхъ магазинахъ. (З. 3—2)

пятый годъ V **ОТКРЫТА ПОДПИСКА** на **1901** г. пятый годъ V

*НА ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ*

# „ТЕАТРЪ и ИСКУССТВО"

Интересъ, возбуждаемый въ современномъ обществѣ драматической литературой и вопросами искусства, далъ возможность журналу „Театръ и Искусство" получить распространеніе въ широкихъ кругахъ читающей публики. Будучи единственнымъ въ Россіи изданіемъ такого рода, по обилію и выбору матеріала, журналъ „Театръ и Искусство", въ то же время, благодаря своей крайней дешевизнѣ, является вполнѣ доступнымъ для всякаго образованнаго человѣка.

## *ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:*

**52** №№ журнала, 1000 страницъ, что составитъ изящный томъ на хорошей бумагѣ, 1000 иллюстрацій въ текстѣ.

**20** **Репертуарныхъ пьесъ**, въ отдѣльной продажѣ стоющихъ около **30 рублей**.

**12** выпусковъ **БИБЛІОТЕКИ** популярныхъ статей по искусству, а также указаній по устройству театровъ: а) домашнихъ, б) дѣтскихъ и в) солдатскихъ. За годъ компактный томъ.

**12** **НОТНЫХЪ** приложеній для пѣнія и фортепіано.

**2—3** выпуска **СЛОВАРЯ СОВРЕМЕННЫХЪ СЦЕНИЧЕСКИХЪ ДѢЯТЕЛЕЙ**. (Словарь доведенъ до буквы Е. Вышедшіе 5 вып. для новыхъ подписчиковъ 2 р.).

за годъ **6 руб.** **ПОДПИСНАЯ ЦѢНА** за полгода **4 руб.**

Со всѣми приложеніями.

Допускается разсрочка: при подпискѣ 2 р. и по 2 р. 1-го Марта и 1-го Іюня.

*Адресъ Редакціи и конторы: С.-Петербургъ, Моховая, 45.*

**Редакторъ А. Р. КУГЕЛЬ. Издательн. З. В. ТИМОФѢЕВА (Холмская).** (2—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Ноября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა, განჯის დიდი ქუჩა, № 27.